F19.509
2

დეგულება

ქვეითა ჯარის სწავლებისათვის.

გამოცემა საქართველოს
გენერალურ შტაბის საწესდებო
კომისიისა

თბილისი.
სტამბა „ქართველთა ბეჭდვითა ამხანაგობისა“.
1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეგულება

ქვეითა ჯარის სწავლეგისათვის.

გამოცემა საქართველოს გენერალურ შტაბის საწესდებო კომისიისა.

„თველთა ბეჭდვითი ამხანაგობისა“ თბილისი 1918 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად შემდგარმა საწესდებო კომისიამ ღენერალ **ოდიშელიძის** თავმჯდომარეობით და წევრობით: ღენერლების **გაბაშვილისა** და **არჯევანიძისა**, პოლკოვნიკების: **აბესაძის**, **ჩიკოიძის**, **ხოსიტაშვილის**, პოდპოლკოვნიკებისა: გენერალურ შტაბის **ჩეჩელაშვილის**, **ლ. ცაგარლის**, **სულხანიშვილის** და **თუმანიშვილისა**, პოდპორუჩიკ **მიქელაძის** და საქმის მწარმოებლის კაპიტან **თევზაძის**, განიხილეს, შეასწორეს და გადათარგმნეს ესე დებულება და ეგზავნებათ ჯარებს სახელმძღვანელოდ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

სწავლება ახალ ჯარისკაცებისა.

1. ახალი ჯარისკაცების სწავლა იწყება მათი ნაწილში მოსვლის პირველი დღიდან და თავდება პირველ აპრილს, რის შემდეგ იღებენ ფიცს და ჩაირიცხებიან გუნდის საერთო წყობილებაში.

შენიშვნა. იმ შემთხვევაში თუ ჯარისკაცები ნაწილში მოვლენ დანიშნულ დროზე უფრო გვიან, შესაძლოა მოემატოს სწავლის დრო სამხედრო მინისტრის ბრძანებით.

2. გუნდებში ახალი ჯარისკაცების სწავლება ხდება ცალკე სხვა ჯარის კაცებისაგან.

3. ახალი ჯარის კაცების სწავლა-აღზრდის ხელმძღვანელობა და მისი პასუხისმგებლობა ედება გუნდის უფროსს სწავლებას კი აწარმოებენ მწყობრის თავები და ისინი პასუხისმგებელნი არიან მათდამი რწმუნებულ ახალ. ჯარ. კაცების წარმატებაში. გუნდის უფროსს ევალება აუხსნას ახალ. ჯ. კაც. ის სამხედრო საგნები, რომლებიც საფუძვლად უდევს სამხედრო აღზრდას, სახელდობრ: მნიშვნელობა — ფიცისა, დროშისა, სამსახურის მოვალეობისა, სამხედრო წეს-წყობილებისა, საგარნიზონო, შინაური და საველე სამსახურისა.

4. მოსასვლელ ჯარის კაცთა რიცხვის მიხედვით გუნდის უფროსი, ზამთრის მეცადინეობის დაწყებისათა-

ნავე. ნიშნავს ყოველ მწყობრში საუკეთესო, ნიჭიერ და კარგ ყოფაქცევის ჯარის კაცებს და ნიშნავს მათ ახალ ჯ. კაც. მასწავლებლებად; ისინი შეიძლება იყვნენ როგორც უბრალო ჯარ. კაცები, აგრეთვე ნაცვლებიც.

მასწავლებელთა რიცხვი ისე ნაწილდება, რომ თითეულს მათგანს შეხვდეს 6—8 ახალ. ჯარ. კაცი. საჭირონი არიან აგრეთვე 2—3 სათადარიგო მასწავლებელნი, რომელნიც შესცვლიან დანიშნულ მასწავლებლებს, თუ ეს აუცილებელი გახდა. თვითეული მწყობრის მასწავლებელთა საერთო ყურადმღებელი არის მწყობრის ნაცვალი.

მასწავლებლები, შეძლებისამებრ, თავისუფლდებიან ყოველგვარ სამსახურში განწესებისაგან ყაზარმას გარედ, მინამ არ გათავდება სწავლა ახალ. ჯარ. კაცებისა.

5. მასწავლებელთ ამზადებს გუნდის უმფროსი, უნცროსი აფიცრის მონაწილეობით და ათასის უფროსის მხედველობის ქვეშ.

ახალ. ჯარ. კაცთა მასწავლებელნი მუდამ და ყველაფერში უნდა იყვნენ მათთვის მაგალითად და შეეძლოთ ყოველიფრის, რაც კი მათ მოეთხოვებათ, სწორედ ჩვენება და ახსნა და აგრეთვე გასაგებად შეცდომების გასწორება. მათი მოვალეობაა: 1) გარდაცემა ახალ ჯარის კაცებისადმი ყველა იმ ცნობებისა, რაც კი ეხება ჯარის კაცის ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. 2) განმეორება მათთან ყველა იმ ცნობებისა, რომლებიც ზეპირად ისწავლება. 3) პირველ დაწყებითი გაცნობა გარნიზონის, შინაგან და საველე სამსახურისა 4) სწავლება წყობილებისა, ტან ვარჯიშობისა და სროლის სამზადისი ვარჯიშისა.

7. ერთეულის უფროსი, ახალ. ჯარ. კაცების მოსვლამდე, ახდენს მასწავლებელთა გამოცდას, რისთვისაც შეუძლიან დანიშნოს კომისსია თავისი თავმჯდომარეობით. გამოცდების შედეგები ერთეულის ბრძანებებაში ცხადდება

8. ახალ. ჯარ. კაცების მოსვლისთანავე ერთეულში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისი უმფროსი დაუყონებლივ თანაბრად ანაწილებს მათ გუნდებში.

გუნდის უმფროსი კი მწყობრებში და მასწავლებლებში ანაწილებს ახალ ჯარისკაცებს. ამასთანავე თუ შესაძლებელია მასწავლებელს თავითვე ეძლევა სრული რიცხვი ჯარის კაცებისა.

9. ახალი ჯარ. კაცები ყველაფერში ემორჩილებიან, საერთო წესით, თავიანთ პირდაპირ უფროსებს.

10. ახ. ჯ. კაცები თავისუფლდებიან ყველა სამსახურში განწესებათაგან. უკიდურეს შემთხვევაში, თუ ძველი ჯარის კაცები არა ჰყოფნიან, ერთეულის უფროსს ნება აქვს ახალ. ჯ. კაცები განაწესოს დღიურებად გუნდებში, მხოლოთ არა სამი თვის ადრე მათი სამსახურისა. ასეთი განკარგულება ერთეულის ბრძანებაში ცხადდება. ახალ. ჯარ. კაცები ინიშნებიან გუნდის შენობის დასალაგებლად დანარჩენ ჯარის კაცებთან ერთად — საერთო მორიგეობით.

11. ახალ. ჯარ. კაცთა სწავლის ფარგალი ნაჩვენებია I თანდართში.

12. სწავლის წარმოების სახელმძღვანელოდ თანდართულია სანიმუშო ტაბულა, რომელიც უჩვენებს სწავლის დაწყების დროს თვითეულ დარგში (თანდართი II). ახალი ჯარ. კაცთა სწავლის პირველ დღეთ მიჩნეულია 1 დეკემბერი. მეცადინეობა ისე არის გაყოფილი ტაბულაში, რომ პირველ ორი თვის სწავლის შემდეგ, თუ საჭიროება მოითხოვს, შეიძლებოდეს მათი გუნდის წყობილებაში ჩაყენება.

13. სწავლება უნდა სწარმოებდეს თანდათანობით, გადასვლით საადვილო სწავლიდან უფრო ძნელზე და ყველა დარგის თანაბრივ შეთვისებით. გუნდის უფროსს სწავლის საქმეში ეძლევა სრული თავისუფლება, მხოლოდ ისე, რომ პირველ 2-თვეში და შემდეგ სწავლის დამთავრებამდის

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავლილი იქნეს და შეთვისებული ყოველივე ის, რაც ნაჩვენებია ამ წესდებაში (თანდართი I-II).

14. წერა კითხვის სწავლება სავალდებელოა ყველა ჯარის კაცებისთვის. ეს სწავლება იწყება მესამე თვიდან და სწარმოებს ყოველ დღე ოფიცრის ხელმძღვანელობით.

15. ახალ ჯარის კაცთა მეცადინეობის დროს განსაზღვრისათვის ხელმძღვანელობენ შემდეგით. პირველ თვეში მეცოდინობა უნდა სწარმოებდეს არა უმეტეს ექვსი საათისა—დღეში, და შემდეგ თვეებში არა უმეტეს შვიდი საათისა. სიტყვიერი სწავლება უნდა იცვლებოდეს ფიზიკური ვარჯიშობით, რომელიც უნდა ხდებოდეს ჰაერზედ. ყოველგვარ მეცადინეობის შემდეგ საჭიროა ცოტა ხნით შესვენება. ეს დრო შედის საერთო დროში, რომელიც დანიშნულია სწავლისათვის.

16. ორითვის სწავლის ვადის შესრულების შემდეგ, ათასეული უფროსი რწმუნდება ჯარის კაცთა მომზადებაში. მხოლოდ არ უნდა დაარღვიოს საზოგადო ხწავლის მსვლელობა. გაშინჯვის შედეგს მოახსენებს რაზმის უფროსს. სწავლის ვადის სრულ გათავების შემდეგ, რაზმის უფროსი თითონ შინჯავს ახალ. ჯ. კაცებს, ან ნიშნავს კომისიას, რომლის თავმჯდომარე თითონ იქნება.

17. გამოცდის დროს:

ა) უნდა გაიშინჯოს ყველა შესასწავლელი დარგი თანაბრივ.

ბ) ყოველი მოთხოვნილება უნდა ემყარებოდეს არსებულ წესდებებს, დარიგებებს, ინსტრუქციებს და სხვ.

გ) არ მიიღება უაზროთ დაზეპირებული პასუხები.

დ) სამწყობრო და სროლის ცოდნის მომზადებულობა გაიშინჯოს სრული სალაშქრო საჭურველით, მიექცეს მთავარი ყურადღება სათითაოდ მომზადებულობას, მოქმედებას გაფანტულ წყობილებაში, გარკვეულად განკარგულების შესრულებას, სრულს წესიერებას წყობილებაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასროლად გამზადებას, ჩქარა თოფის გატენას, სწორედ თოფის მიმართვას, განიშვნას და ჩახმახის დაშვებას.

ე) ტანვარჯიშობაში გამოცდის დროს უნდა აღინიშნოს ყოველი ჯარის კაცის მომზადება. სავალდებულოა მხოლოთ პირველი 6 ტაბულა.

ე) საველო მომზადებულობა გაიშინჯოს მინდვრათ. მიექცეს ყურადღება, რათა ჯარის კაცებს შეგნებულად ჰქონდეთ შეთვისებული მზვერავთა მოვალეობანი სადარაჯოებზე.

18. სამუსიკო მცირე გუნდში ჩასარიცხად ახალი ჯარის კაცთა განაწილების დროს, შეიძლება თვითეულ ნაწილში არჩეული იქმნას არა უმეტეს 16-კაცისა. ისინი ირიცხებიან მწყობრივ გუნდებში, სადაც გადიან ჯარ კაც. სასწავლ კურსს სრულად.

19. ახალი ჯარ. კაცთა ჩარიცხვა უმწყობრო გუნდებში და აგრეთვე სხვა მცირე გუნდებში შეიძლება აღლუმების გათავების შემდეგ.

შენიშვნა. ფერშლის შეგირდათ ჩარიცხვა შეიძლება ოთხი თვის სწავლების შემდეგ.

20. ახალი ჯარ. კაცები, რომლებიც სამსახურში მიღებისთანავე დანიშნული არიან უმწყობრო სამსახურისათვის სამხედრო უწყებაში, დროებით იგზავნებიან სამწყობრო ნაწილებში სასწავლებლად და უნდა შეითვისონ: სამწყობრო საქმეში—ცალკე სწავლა უთოფოთ და სამხედრო მისალმება; სიტყვიერ ცოდნაში ყოველიფერი რაც სავალდებულოა ქვეითა ჯარ კაცთათვის, გარდა საველო და საყარაულო სამსახურისა და სროლის ვარჯიშობისა. ვადა მათი სწავლისა დადებულია ორი თვე.

მათი სწავლა ხდება გუნდებში ანუ ცალკე მცირგუნდებში, როგორც ნაწილის უფროსი სცნობს საჭიროდ. უკანასკნელ შემოხვევაში სასწავლებლად ინიშნება ცალკე აფიცერი და მასწავლებლები ჯარისკაცთაგან. სწავლის

ვადის შესრულების შემგეგ ნაწილის უფროსი შინჯავს მათ, რის შემდეგ იღებენ ფიცს, ინიშნებიან სათანადო თანამდებობისთვის და იგზავნებიან თავიანთ პირდაპირ უფროსების გამგეობაში.

II. პრაკტიკული რჩევანი სწავლებისა.

21. ახალ ჯარ. კაცთა სწავლის წარმატება დიდად დამოკიდებულია კარგად მომზადებულ მასწავლებლებზედ და მათ ოსტატობაზე ანუ მოხერხებაზე-თუ რამდენად შეესძლებენ ისინი მოთმინებით და გასაგები ენით აუხსნან ყველაფერი ის, რაც არის ასასრულებელი. ხშირად დაგვიანებით და არა სისწორით ახსნილის შეთვისება ჯარის კაცებისაგან წარმოსდგება არა იმისაგამო, რომ მათ არა აქვთ სურვილი ამისა, არამედ გაუგებრობით. ამისათვის შეცდომები უნდა გაუსწორონ მოთმინებითა და დაწყნარებით.

22. ქვეით მოყვანილი რჩევანი სწავლებისა იძლევიან ზოგიერთ დარიგებას, რომლებიც აადვილებენ ამ წესდების საგნებს:

ა) სწავლება მხოლოდ მისი, რაც ყოვლად აუცილებელია ჯარის კაცისათვის ომისა და მშვიდობიანობის დროსა. ყოველთვის მეტი ყურადღება უნდა მიექცეს საქმის არსებით მხარეს ფორმის წინაშე.

ბ) სწავლება შეძლებისამებრ უნდა სწარმოებდეს პირდაპირი ჩვენებით, და არა მარტო თქმით.

გ) ყველა ცნობები ახალ. ჯარ. კაცებმა უნდა შეითვისონ შეგნებულათ; აღკრძალულია გაუგებრად გაზეპირება ყოველივე მისა, რის მდაბიოთ ახსნა შეიძლება.

დ) ერთ გაკვეთილად არ უნდა აუხსნან ძალიან ბევრი; მწიგნობრული და სპეციალური ენა შეძლებისამებრ უნდა შეიცვალოს მდაბიო სიტყვით.

ე) თუ საქმით ჩანს ჯარისკაცის ცოდნა, სიტყვიერ პასუხს ნულარ მოსთხოვთ. მიაჩვიეთ ჯ. კაცი დარწმუნებულ, წყნარ, გარკვეულ და ხმა მაღლა პასუხს. პასუხი მოითხოვეთ მოკლეთ და გარკვეულათ. მოითხოვეთ ბრძანების განმეორება.

I. საზოგადო ცნობები.

23. ცნობებს ჯარის კაცის დანიშნულებაზე, დროშის შესახებ და ფიცზე გუნდის უფროსი ასწავლის საუბრით. ჯარის კაცს უნდა ჩაენერგოს გულში, რომ მისი უმთავრესი დანიშნულება არის—ებრძოლოს მტერს სიცოცხლის დაუზოგველად.

24. ფიცის მნიშველობის აღსნაზე მოაგონონ ჯარის კაცს პირველი ფიცი, რომელიც მან მიიღო პირველათ ჯარში გაწვევის დროს და მეორე ფიცი, რომელიც მიიღო სამსახურში დროშის ქვეშ და რა განსხვავება არის მათში.

25. დროშის მნიშვნელობის აღსნის დროს უნდა ისწავლონ რომ დროშა არის მუდმივი ნიშანი იმისი, რომ ემსახურო სამშობლოს უკანასკნელი სისხლის წვეთამდის. დროშა უნდა ეჩვენოს და თუ არა, ეჩვენოს მისი ნახატი. ეამბოს რა დიდის პატივით ხდება დროშის მოტანა და წაღება და როგორ აძლევენ მას სალამს.

26. რაზმის ისტორიის შესწავლის დროს, საჭიროა დაწვრილებით აღნიშვნა, როგორც რაზმის ისე ცალკე პირთა საგმირო საქმეებისა, როგორც ომის ისე ზავის დროს. ეს ცნობები შეისწავლება ბაასით და თუ შესაძლებელია ბუნდოვანი სურათებით.

27. პირდაპირი უფროსების ხარისხი და გვარები რაზმის უფროსის ზევიდან დაწყებული შეისწავლება მაშინ, როდესაც შემთხვევა იქნება მათი ნახვისა.

28. ახალი ჯარის კაცების ნაწილში მოსვლისთანავე უნდა დაურიგდეთ უბის წიგნები და აეხსნათ მათი მნიშვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნელობა. ფულის და წლიური ნივთების დარიგების წინ უხსნიან დეწესებულ რაოდენობას.

II. ცნობები დისციპლინარულ წესდებიდან.

29. ახალი ჯ. კაცების მიერ სამხედრო წეს-რიგის შემეცნება თეორიულად შეუძლებელია. ცოდნა შეითვისება თავის-თავად გუნდში ცხოვრებით, უფროსებთან და ამხანაგებთან მუდმივი სიახლოვით და თვით სამსახურით. ჯ. კაცმა უნდა შეითვისოს წეს რიგი შეგნებულად და არა დასჯის შიშით.

30. გუნდის უფროსი ვალდებულია დაწვრილებით აუხსნას ახალ. ჯარის კაცებს ყველა მოთხოვნილებანი სამ. წ. რიგისა, იქონიოს მხედველობაში, რომ ეს არის მთელი სამხედრო სამსახურის საფუძველი. კარგია აგრეთვე აუხსნათ თუ რა შეცდომები ხდება წესრიგიანობის წინააღმდეგ, რადგანაც მისი დარღვევა ხშირათ ხდება მისი მნიშვნელობისა და სასჯელიანობის უცოდინარობით.

III ცნობები შინაგან სამსახურის წესდებიდან.

31 შინაგან სამსახურის წესდებების მოთხოვნილებანი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი იმ ნაწილის წესიერ ყოფა ცხოვრებასთან (სამსახურთან), რომელშიაც ახალი ჯ. კაცი მოხვდა სამსახურში. რაც უფრო მეტი შინაური წესიერებაა გუნდში, მით უფრო ადვილი იქნება ახალი ჯ. კაცისათვის ამ წესდების მოთხოვნილებების შეთვისება. მახლობელ უმფროსებმა უნდა მიიღონ ყოველივე ღონის ძიება, რათა ახალი ჯ. კაცი ერთბაშად შევიდეს გუნდის ცხოვრებაში და არ გრძნობდეს თავს განკერძოებულად ამ აზრით აღკრძალულია ახალი ჯ. კაცების გუნდის გარეშე ცალკე გამოყოფა. მწყობარებში დაყოფის დროს, არ უნდა განაცალკეოთ ძველ ჯარის კაცებისაგან და უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მიაქციოთ ყურადღება, რომ ცუდი ყოფაქცევის პირებმა მათზე გავლენა არ იქონიონ.

32. ახალმა ჯ. კაცებმა რომ გუნდში რაიმე ავადმყოფობა არ შემოიტანონ, საჭიროა დაუყოვნებლივ გაგზავნა აბანოში, ექიმთაგან ყოველიმხრივ გაშინჯვა, თავიანთი ტანისამოსის გამოცვლა სახაზინოზე, რომელიც უნდა მიეცეთ აბანოში წასვლის წინ და ჩაიცვან აბანოდან გამოსვლისას, აგრეთვე ყვავილის აცრა და ტანისამოსის დეზინფექცია. ამ მიზნით, მავლენ თუ არა ისინი ნაწილში, ერთი კვირით უნდა განცალკევებულნი იყვნენ ცალკე შენობაში.

33. მაგალითი მისა თუ, როგორ უნდა შეინახონ სუფთად თავი და ტანისამოსი, მასწავლებელმა უნდა თავის თავზე აჩვენოს და აგრეთვე მუდმივი მოთხოვნილებით. ახალი ჯ. კაცების მოსვლისთანვე, მწყობრის უმფროსები ვალდებულნი არიან დაწვრილებით დაათვალიერონ მათი ნივთები და შემდეგ სასტიკათ მოსთხოვონ და გაშინჯონ, რათა სკივრები და ნივთები ინახებოდენ სუფთად.

ეს პრაკტიკული გზა უფრო ნაყოფიერია ვიდრე თეორიული ჩაგონებანი.

34. როდესაც აუხსნით თავისუფალი დროს გატარებას, უნდა აუხსნათ ის მავნებლობა რომელიც მოაქვს მაგარ სასმელების ხმარებას. მასწავლებლები ყოველ შემთხვევაში მაგალითად უნდა იყვნენ ახალ. ჯარის კაცებისათვის. ზომები უნდა მიიღოთ, რათა მასწავლებლებმა მოსწავლეთაგან არავითარი საჩუქრები და გამასპინძლება არ მიიღონ არც თითონ მიყიდონ მათ რაიმე ნივთები. გუნდის უფროსმა უნდა იზრუნოს რომ ახალ. ჯ. კაცებს თავისუფალ დროს მოსვენება და გართობა ჰქონდეთ. სასარგებლოა კვირა-უქმე დღეებში ჯარის კაცების ქალაქში და მის გარედ სასეირონდ წაყვანა და ღირსშესანიშნავ ადგილების ჩვენება.

35. ყაზარმებიდან დათხოვნა ჯ. კაცებისა, განსაკუთრებით ნათესავებთან, შეზღუდული არ უნდა იქმნეს. პირველ ხანში დათხოვნა შეიძლება მხოლოდ მასწავლებლების გაყოლით.

36. მეტად სასარგებლოა ახალი ჯ. კაცების სამსახურში პირველათ დანიშვნის დროს მათი უმფროსებისაგან მასწავლებლებისაგან დაგუნდის უმფროსებისაგან გაშინჯვა.

V ცნობები გარნიზონის წესდებიდან

37. გუშაგის მოვალეობანი იმდენათ დიდია, რომ ეს მოვალეობანი გუნდის უმფროსის პირადი ხელმძღვანელობით უნდა შეისწავლებოდენ. გუშაგის (დარაჯის) მოვალეობის შესწავლის დროს უნდა გამოყოფილი იქმნეს მთავარი მოვალეობანი და შემდეგ აუხსნათ მეორე—ხარი ხოვანი.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს, რა განსხვავება არსებობს გუშაგის უმფროსისა და საზოგადოდ ჯარ. კაცის უფროსის შორის. როდესაც აუხსნით გუშაგის მოვალეობას სხვა და სხვა საგუშაგოზე, სასარგებლოა აუხსნათ მთავარი მიზანი ამა-თუ იმ საგუშაგოსი.

38. როგორ დაიცვას საგუშაგო და რომელ შემთვევებში გუშაგები, მცველები და მზვერავები ხმარობენ იარაღს—საჭიროა მაგალითით აღხსნა.

39. გუშაგებისაგან სალამის მიცემა და ყარაულის გამოძახება საჭიროა აჩვენოთ მაგალითით. არ უნდა შესწავლა ყველა იმ პირებისა, ვისაც ეკუთვნის ყარაულის საპატიოდ გამოძახება და აგრეთვე მათი, ვისაც აქვს ნება ყარაულის გაშინჯვისა.

V ცნობები საველე სამსახურიდან.

40. საველე სამსახურის შესწავლას მიზნად უნდა

ჰქონდეს, რომ განუვითარდეს ახალ ჯარის კაცს ნათლათ შესმენა თავის მოვალეობისა მინდვრად, გამბედაობა, თაოსნობა და მოსწრებულობა. საველე სამსახურის მეცადინეობა უმეტესად უნდა სწარმოებდეს პრაკტიკულათ, პირველად რელიეფურ რუქებზე და ქვიშიანი ყუთების საშუალებით და შემდეგ მინდვრად.

VI სროლის სწავლება.

41. თოფის დაშლა და აწყობა უნდა აჩვენოთ განსაკუთრებით სასწავლო თოფზე. წვრილი ნაწილების სახელებს და მათ დანიშნულებას პირველ დაწყებითი სწავლის დროს ნუ მოითხოვთ, ესენი პრაკტიკულათ უნდა შეითვისონ მთელი სწავლის დროს.

თოფის შენახვა, სხვა და სხვა პირობებში, უნდა მტკიცეთ იყოს შესწავლული. დიდი სარგებლობა შეუძლია მოიტანოს სწავლების დროს გაჭრილ თოფსა და ვაზნას.

42. თოფის სასროლად გამზადების, გატენისა და კორას დაყენების სწავლება ხდება ჩვენებით. რადგანაც კორას დაყენებისათვის საჭიროა ციფრების ცოდნა, ამისათვის თავდაპირველათ უნდა ციფრები შეასწავლო, ერთეულები და ათეულები მაინც. თოფის აღსამართად საჭიროა მკლავების გამაგრება, რასაც შეიძლება მიაღწიოთ ტანის ვარჯიშობითა და ცალის ხელით თოფის აწევით.

43. თოფის დამიზნება უნდა ხდებოდეს უსათუოთ განსაკუთრებულ წერტილში; მაგ. ყაზარმებში მეცადინეობის დროს დაპატარავებულ ნიშნებში, მრგვლად მოხაზულ წრეებში ან ჯვარედინა ძაფებში ფანჯრის შუშებზე. მინდვრად კი — ნიშნებში ნამდვილ მანძილებზე. საჭიროა რომ ჯარის კაცმა ყოველთვის, როცა კი თოფს ხელში აიღებს, დაუმიზნოს რომელიმე არჩეულ წერტილს.

44. სროლის მოსამზადებელ ვარჯიშობის შესწავლა უნდა სწარმოებდეს სრულის სიწყნარით და აუჩქარებლად. თანდათან გააუმჯობესონ და დააჩქარონ ხერხი გატენისა, გამზადებისა და თოფის დაცლისა. განიშვნა და ჩახმახის ფეხის დაცემა უნდა ხდებოდეს სწრაფად და აუბნევლათ.

უნდა შეაჯიბრონ მოსწავლეები სროლის შედეგებით და აღუძრან სიყვარული თოფის სროლისა. შეჯიბრება სროლაში საუკეთესო თავდებია წარმატებისა.

სასურველია ახალ ჯარის კაცებმა ბანაკად გასვლამდე გაიარონ რამდენიმე ვარჯიში სასწავლო სროლისა.

45. თვალით მანძილის გაზომის შესწავლა თანდათანობით უნდა, ისე როგორც ნაჩვენებია სროლის სწავლის დარიგებაში; ეს მაცადინეობა უნდა სწარმოებდეს მინდვრად სხვა გვარ ვარჯიშობის დროსაც; თვალის სიმახვილის გააუმჯობესებლად საჭიროა მინდვრათ მუდმივი მეცადინეობა, მოძებნა და გარკვევა ძნელად შესანიშნავ მოძრავ და უძრავ საგნებისა სხვა და სხვა მანძილზე.

VII **სამწყობრო განვითარება.**

46. სწავლის დაწყებისთანავე მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს განკარგულების სისწორით ასრულებას, და არა სისწრაფეს, ვინაიდგან უკანასკნელი აჩვევს ცუდ ფაცურს.

47. სწორი, სავსე და მტკიცე ნაბიჯით სიარულს პირველი დღიდანვე უნდა ეჩვეოდნენ. ისარგებლეთ ამისათვის ყოველი შემთხვევით ახალი ჯარის კაცების აქაიქ ტარების დროს. სასარგებლოა ჯარის კაცების სიმღერით ტარება.

48. სათითაოთ სალამის მიცემის სწავლება იწყება ჯერ ადგილობრივ, მერე გავლით და გაჩერებით.

49. თოფის ილეთების სწავლება შემდეგის თანდათანობით: თავდაპირველათ ილეთები, რომელნიც საჭი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როა ომში სამოქმედოდ, ე. ი. სასროლი და ხიშტით სამოქმედო და შემდეგ დანარჩენნი.

თოფის ილეთების სწავლების დროს, მასწავლებელმა ჯერ უნდა ილეთი უჩვენოს და შემდეგ შისი მნიშვნელობა აუოსნას. ჩვენება უნდა ნელა, ილეთებად დაყოფით, რათა მოსწავლემ შესძლოს თვალის დევნება. მასწავლებელი უჩვენებს ილეთს და მერე უბრძანებს ახ. ჯ. კაცს აასრულოს ნაბრძანები, ხმა მაღლა თვლით და აუჩქარებლად. შეასწავლით რა ილეთებს დაყოფით, შემგეგ გადადით დაუყოფელ სწავლებაზე თვლით. ბოლოს-კი ილეთების ასრულება შეიძლება უხმოთაც.

50. გაფანტულ წყობილების სწავლება შეიძლება რელიეფურ რუქებზედ, ქვიშიან ყუთებში და შემდგომ, როცა მოხერხდება, იწყობა მეცადინეობა მინდორში. პირველ დაწყებითი სწავლა სწარმოებს სათითაოდ და ჯგუფობრივ. ამ მეცადინობის დროს უნდა გავლილი იქმნეს სათითო სანგრების კეთება მტრის ცეცხლის ქვეშ.

F 19-509 2

VIII. სწავლება ტანვარჯიშობისა.

51. სწავლის წესი და თანდათანობა სრულად არის აღწერილი ტანვარჯიშობის წესდებაში. მასწავლებელნი უნდა იყვნენ სრულად მომზადებელნი დამოუკიდებლად ასწავლონ ჯარ. კაცებს ვარჯიშობა, იცოდნენ მიზანი და დანიშნულება თვითეული ვარჯიშობისა და სისწორით მათი ჩვენება, რათა არა სისწორით ვარჯიშობა არა მარტო უსარგებლოა, არამედ მავნებელიც არის. ტანვარჯიშობის სწავლება უნდა სწარმოებდეს ჩვენებით, ცოცხლათ, უნდა აღუძრათ შეჯიბრების სურვილი, [illegible] მეცადინობით და არ დასაჯოთ სიმხ[illegible] მელსაც ეს მეცადინეობა თავის თავად [illegible]

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

52. განსაკუთრებელი ყურადღება უნდა მიექცეს სიარულსა და სირბილის, რადგანაც უკანასკნელს მნიშვნელობა აქვს ომის დროს.

53. თავისუფალი დროთიუნდა ისარგებლო და თამაშობას მოანდობოთ, რადგანაც თამაშობა შეჰმატებს მოსაზრებასა და მოსწრებულებას, ეს მაცდინობა უნდა სავლდებულო იყოს და სრულდებოდეს მსუბუქ ტანსაცმილთა დაუამუნიციოთ.

XI. ხიშტით ბრძოლა.

54. თანდათანობით ხიშტით ბრძოლის სწავლა და მისი სივრცე ნაჩვენებია ჯეროვან სახელმძღვანელოში.

X. წერა-კითხვის სწავლება.

55. სწავლის სივრცე წერაკითხვის ცოტათი და არა მცოდნეთვის ნაჩვენებია ჯარის კაცთა სავალდებულო მოკლე ცნობათა კრებულში (ჩამოთვლაში). რაც შეეხეაა წერაკითხვის მცოდნეთა განყოფილებას, აქ სწავლის მიზანი. უნდა იყოს: ა) იცოდეს გარკვეული, კითხვა როგორც ხელთ ნაწერისა, ისე ნაბეჭდისა სიტყვების გადაუსხვაფერებლად, და გაიგოს წაკითხული.

ბ) წერაში—იცოდეს წიგნიდან გადმოწერა სუფთად. შეეძლოს თქმულის დაწერა შეუცდომლად. ანგარიშში—შეერთება და გამოვრალება მთელი რიცხვებისა და ზეპირად პატარა-პატარა ამოცნების გაგება სწავლის მეტოდის არჩევის ნება თითონ მასწავლებლის საქმეა.

56. წერა კითხვის სავალდებულო სწავლება ორ თვეს გრძელდება. მაგრამ თუ მერეც არ გაგრძელდა სწავლა, რაც უნდა კარგი შედეგი მოიტაწოს ორი თვის სწავლამ. მერეცაინც დავიწყებული იქნება. ამისათვის უნდა წავა-

ხალისოთ ჯარის კაცები, რომლებიც თავისნებისამებრ განაგრძობენ მაცადინაობას.

გუნდის სამკითხველოში უნდა ბლომათ იყვეს საკითხავი წიგნები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდართი I.

ჩ ა მ ო თ ვ ლ ა.

ქვეითა ჯარის კაცთათვის სავალდებულო ცნობისა სამსახურის პირველ წელს.

1. საზოგადო ცნობები. რა არის სამშობლო. აღიარება საქართველოს თავისუფლებისა 26 მაისს 1918 წ. ჯარ. კაცის დანიშნულება, ფიცი, დროშა (ბაასით უნდაა შეითვისონ).

რომელი ათეულში, მწყობრში, გუნდში, ათასეულში, რაზმში, ბრიგადაში და დივიზიაში მსახურობს. როგორ. იყოფა მწყობრი, გუნდი, ათასეული და რაზმი.

ნაწილის მოკლე ისტორია. ჯილდოები. რომლებიც ნაწილს ომში სიმამაცისათვის აქვთ დამსახურებული. ჯილდოები ომისა და მშვიდობიან დროს.

ჩინები და წოდებანი სამხედრო პირებთა. მათი გარეგნულად გარჩევა.

პირდაპირი უმფროსების ჩინები და გვარები სამხედრო მინისტრამდის. სახელი და გვარი მთავრობის მეთაურისა.

უბის წიგნი. ჯარის კაცის საზრდოება. წესი სალაშქრო იარაღის ტარებისა და დაწყობა ნივთებისა ჩანთაში.

II. წესდება დისციპლინარული. არსება სამხედრო დისციპლინისა. მორჩილება, პატივისცემა და სამსახურის ასრულება. საჩივრები.

სასჯელები მორიგე ჯარის-კაცთათვის. უფლებანი უმფროსებისა ჯარის-კაცებისადმი—დაპატიმრება და მათი სამაგიერო. (დაშტრაფულთა კატეგორია).

III შინაგან სამსახურის წესდება. სამხედრო პირთა საზოგადო მოვალეობანი. უფროსები და მეუმფროსენი. სამხედრო მისალმება. თავისუფალ დროს გატარება. ეზოდან დათხოვნა ჯარ. კაცთა—კარვობაში ცხოვრების საზოგადო წესები. დღიურების მოვალეობანი შენობაში, გარედ, ლაშქრობაში და ბანაკში.

კომანდის მიმოსვლის წესი.

მზვერავთა მოვალეობანი წესრიგის დასაცველად ნაწილის არემარეში და მახლობელ ადგილებში.

IV საგარნიზონო სამსახურის წესდება.

ყარაულის დანიშნულება, ყარაულის უფროსი, ყარაულის უფროსის ნაცვლად განმწესებულნი, ვის ქვიან გუშაგი ყარაულის შინაგანი წესი. გუშაგის დაყენება და გამოცვლა. გუშაგთა საზოგადო მოვალეობანი. არა გუშაგთა მოვალეობანი სხვა და სხვა სადარაჯოზე. როდის შეუძლია გუშაგსა, მზვერავს და მცველს იარაღის ხმარება.

გუშაგების და ყარაულების მიერ სალამის მიცემა.

გზირთა მოვალეობანი. მზვერავთა მოვალეობანი რომელიც ყარაულთან იქნებიან გაგზავნილნი.

ტუსაღთან მცველების მოვალეობანი. დარაჯები.

V. დარიგება სროლის სწავლებისათვის.

თოფისა და ვაზნის მოკლე აღწერა. თოფის დაშლა-აწყობა თოფის წმენდა და მოვლა. შეგნება ტყვიის მსვლელობისა. მიზეზნი აცდენისა. წერტილი დამიზნებისა და მისი არჩევა სამზადისი ვარჯიში სროლისათვის. ჯილდონი მარჯვე სროლისათვის და მანძილის თვალზომისათვის. სროლა ნაკლები სატენით. კურსი მოსამზადებელ სროლისა (რამდენათ კი შესაძლოა მისი დაწყობა ბანაკში გასვლამდე). სამზადისი ვარჯიში თვალზომისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრუდე სროლის მიზეზები.

(სასროლი წერტილი და მისი მოძებნა. სროლის მოსამზადებელი ვარჯიშობანი. საჩუქრები კარგის სროლისათვის და თვალ-და თვალ მანძილის აღებისათვის.

მსუბუქი ვაზნებით სროლა. მოსამზადებელი სროლა რამდენათაც შესაძლებელი იქნეს დაწყებული უნდა იქმნეს მინემ საკარგოდ გავლენ.

თვალ-და თვალ მანძილის აღების მოსამზადებელი მაცადინაობა.

VI. ქვეითა ჯარის სარაზმო წესდება.

სათითაო სწავლება. შარის სწავლება **გაფანტული** —მწყობრის სწავლება. მწყობრის სწავლება—ნიშნები მწყობრის სამართად უკამანდოთ.

VI. საველე სამსახური.

უსწორ-მასწორი ადგილები საზოგადო და მათი მნიშვნელო. ბა. მხრის პოვნა მინდორში, მზით, ვარსკლავებით და ადგილობრივ საგნებით.

მოკლე ცნობები ჯარის დაცვისა ლაშქრობაში და დასვენების დროს. ყარაულების, პოსტების და მზვერავების სამსახური. მოვალეობანი გუშოგისა და მის მაშველისა,

VIII. დარიგება ტანვარჯიშისა.

უნდა განვლილ იქმნენ ყველა ვარჯიშობანი თანახმად წესდებისა. ნუსხისა. სირბილისა და საველე ტან ვარჯიშის სწავლება.

IX. ხიშტით ბრძოლის სწავლება.

საომარი დგომა, დაკვრა, გადატანა აცილება, მოძრაობა და მიბრუნება; ძლიერი და სწორად ხიშტის ჩაცემა:

X. წერა-კითხვის სწავლება. ახალი ჯარის კაცები სწავლობენ წერას, კითხვას და ანგარიშს, რათა იცოდენ, დაბეჭდილის წაკითხვა, წიგნიდან გადმოწერა სამ ნიშნოვან რიცხვების შეერთება და გამოკლება.

საუბრით უნდა ასწავლოთ:

1) ჯარის საზდოების მოკლე აღსნა.

2) დისციპლინარული და სასამართლოს დასჯანი, რომელითაც ჯარის კაცები დაისჯებიან შესახებ ნაჯარიმთა, უმფროსთა უფლებანი ჯარის კაცებისადმი რაზმის უფროსიდან დაწყებული.

31. მოკლე ისტორია სამშობლოსი.

ფორმა პროგრამისა.

ქვეყნის ახალი ჯარის კაცების სწავლებისა კვირეულად სწავლის ხანაში.

სასწავლო განყოფილებანი.	1 კვირაში.		მე 2 კვირაში.		მე 3 კვირაში.		მე 4 კვირაში.		მე 5 კვირაში.		მე 6 კვირაში.		მე 7 კვირაში.		მე 8 კვირაში.	
	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.	საათების რაოდენობა.	შესწავლილი უნდა იქნეს.
(ლიცენზია) და საზოგადო ცნობები.	2½	1) რა არის სამხედრო (ბანდა). 2) ჯარის კაცის დანიშნულება. 3) ოფიცრის ოცეული ბატალიონი, ალაი, ეროვნული მწყობრი ოფიცერ და ჯარისკაცი. 4) ბატალიონის ბანაკში ალაიერში, ეროვნულ და მის სამწყობრო ბანაკის. 5) ალაის წესები.	2½	1) შესწავლილის კარგად ფიქრი. 2) ბანაკის ადგილის და ალაიერის ნაგებობა, ძმანი ბანაკში ბანაკებში. 3) ბანაკი და წესებები და კარგად გამოსაცხადა ალაიერი.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრი. 2) ინფორმაციის კარგად და ფა ბანაკი ბანაკის ეს ფიქრიანად. 3) რა არის ჯალი ალაიერი, ალაი, ბანაკ ჯარი, ბატალიონი, ალაიერ.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი. 2) სალაშქრო ბიბლიოთეკის ფიქრიანი.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი. 2) ფიქრი ბანაკი.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი. 2) ალაის ალაიერ ბანაკ ალაიერ ბანაკ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	2½	შესწავლილის კარგად ფიქრიანი.
შინაგან სამსახურის და წეს-რიგის წესდებები ა) რიგის უნდა ეცხოვროს თავი ჯარის კაცს სამსახურში და მის გარეთ ნიფოების შენახვა ბ) სამხედრო წეს-რიგის ახსნა.			2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.	2	1) ინფორმაცია და ბატალიონში. 2) სალაშქრო ბიბლიოთეკა ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ბიბლიოთეკა.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი. 2) ალაიერ ალაიერ. 3) ინფორმაციის ალაიერ ალაიერ ალაიერ.	2	1) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	2	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.	2½	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.
ცნობები საგარეო-ზონი და ბავშვე წესდებებიდან ხადარაული სამსახურისა.					2½	1) ბატალიონი და ბანაკი სამსახურის ფიქრიანი. 2) ალაიერ ბანაკ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	2½	1) შესწავლილის კარგად ფიქრიანი.	2½	1) ალაიერ სამსახური ბიბლიოთეკა ალაიერ. 2) ალაიერ სამსახური ბიბლიოთეკა ალაიერ ალაიერ.	2½	1) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ბანაკ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3)	2½	1) ალაიერ ალაიერ ალაიერ.	2½	ალაიერ.
ხალიჩის მიცემა და	6	1) ბანაკი ფეხი. 2) ხალიჩის მიცემა.	6	ალაიერ.	2	1) ალაიერ. 2) ხალიჩის მიცემა.	2	1) ალაიერ. 2) ხალიჩის, ბიცემა შესაფერი.	1	ალაიერ.	1	ალაიერ.	1	ალაიერ.	1	ალაიერ.
სამწყობრო წესდება და ფარიკაობა (ალეგობა).	11	1) 2) ფეხი და ბანაკის ბიბლიოტეკა ფიქრიანი. 3) ბანაკი ბანაკის ალაიერ.	8	1) ფეხი და ფა ბანაკი. 2) ფეხი და ბანაკის ბიბლიოტეკა ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ბანაკ.	6	ალაიერ.	6	1) ბანაკ ალაიერ და ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ბანაკ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	5	1) ბანაკ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ბანაკ.	5	1) ბანაკ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	5	1) ბანაკ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	10	შესწავლილის ალაიერ.
ბეგრის მოძღვრება.	3½	ჯარის კაცის ფიქრიანი ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	7	1) ბეგრი. ალაიერ ალაიერ. 2) ბეგრი, ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	10	ბეგრი 1) ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ. 4) ალაიერ ალაიერ. 5) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 6) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 7) ალაიერ ალაიერ ალაიერ.	10	ბეგრის ალაიერ. 1) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 3) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 4) ალაიერ ალაიერ. 5) ალაიერ ალაიერ ალაიერ.	18	ალაიერ.	18	1) ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 400-ის ბიბლიოტეკა.	18	1) ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ 378-ის ალაიერ ბანაკ.	11	ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.
ხრიდის ხაზე.	5	1) ალაიერ ბიცეფ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ.	6	1) ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	6	1) ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ.	6	1) ალაიერ ალაიერ ალაიერ. 2) ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ ალაიერ

ფორმა პროგრამისა

ახალი ჯარის კაცების კვირეული მეცადინეობისა მეორე სწავლის ხანაში.

სასწავლო განყოფილებანი.	1 (9) კვირა		2 (10) კვირა		3 (11) კვირა		4 (12) კვირა		5 (13) კვირა		6 (14) კვირა		7 (15) კვირა			
		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება		ისწავლება
	2	ყალიბი-ში ნაწილის ოცნი სიმაღლისაგან მოღერილი.	1	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ეზეთისებრივი მოსმარეობა.	2	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ყარის კაცის სარბოლა.	2	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ხმაბანის კიდეები	1	შეწყვეტილის კანონიები.	1	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ეროვნები ხოლოდენ ფეიერვერკზე ბოლოდენ.	1	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ხანები და ყარის ბრიგადებზე ფიგურის ეროვნები.		შეწყვეტილის კანონიები.
საფრანგეთი წესდები.	1	1) ხანების კანონიები. 2) ფიგურული სავალები.	2	ეზეთისებრივ ხანების კი ეფექტები. შეწყვეტილის კანონიები.	2	ბატარეა და ბანა შეალეთ.	1½	შეწყვეტილის კანონიები.	1	ხანები.		შეწყვეტილის კანონიები.				კანონიები შეწყვეტილია.
შინაგან საქმეთა წესდები.	2½	1) ყარეი ფიგურის ბოლოდენ. 2) ყანის ბოლოდენ.	2½	შეწყვეტილის კანონიები.	1½	ეანის ბოლოდენ ბოლოდენ.	1	შეწყვეტილის კანონიები.	1	1) ეზეთისის ბოლოდენ. 2) ხალის ბოლოდენ და ბანი ბანიდენ წესი.	1		1		1	
საგანგებო საქმეთა წესდები.	2½	ეშაფის კარგი ბოლოდენ ბელი ბოლოდენ.	2½	შეწყვეტილის კანონიები.	2½	შეწყვეტილის კანონიები	2½	ყარეი ბანიდენ წესი.	3	1) შეწყვეტილის კანონიები.	3	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ხალის ოფიცერ ბოლოდენ.	3	1) შეწყვეტილის კანონიები. 2) ყარეი ოფიცერ ბოლოდენ. 3) ბოლოდენ ბოლოდენ.	3	1) ეროვნი დაყენ ენი და ბანიენები ყარეი. 2) ეროვნებიდან და ოფიცერ ბანიენ ოფიცერ ბანიენ.
სროლის საქმე.	8	ოთხის სასწორიანი და სასწრაფო გატეხის ვარჯიშობა.	8		8		8		12		12		12		12	
მიშაფეხა ჯეფეთის ოფიცრის და შუბანის.	12	ჯეფეთი და ოფიცერ ზენეი 800—400 ნაბიჯზე.	12	ჯეფეთი და ოფიცერ ზენეი 400 ფეხ. ნაბიჯიდან, ნაბიჯზე ბანიენდენ.	12	ჯეფეთ. ოფიცერ ყარეი ფიგურის ნაბიჯ ოფიცერ ბანიენ ბანიენ ფიგურ.	12	ჯეფეთ. ფიგურეი ლეშენის ოფიცერ და ნაბიჯ წესეი ყარეი ბანიენ ფიგურ. ბანი ბოლოდენ ზენეი ბანიენ ბანიენ.	12½	ფეხეის ზენეი ოფიცერ ბანიენ ბანიენ.	12½	ფეხეის ზენეი ოფიცერ ბანიენ ბანიენ ოფიცერ ბანიენ.	12½	ეფეთი	12½	
ბელეთა საფეხეთო წესი და ფიგურა.	9	1) ფეხეის ეფეთი, ოფიცერ ბოლოდენ, ბანიენ ბანიენ. 2) ოთ ბანიენ ფიგურ. ეფეთ ბანიენ ბანიენ ეფეთ.	9	1) ეფეთ ყარეი ეფეთ და ოთ ბანიენ ბანიენ ეფ. 2) ბანიენ ბანიენ ეფეთ.	9	ეფეთ ზენეი და ყარეი ფეხეის.	9	ბანიენ ბანიენ ეფეთ.	6	1) ოფიცერ და ბანიენ ეფეთ. 2) ეფეთ და ბანიენ ბანიენ ეფეთ.	6	ეფეთ ზენეი და ყარეი ფეხეის ბანიენ.	6		6	
ტანის ვარჯიშობა.	3		3		3		3		3		3		3		3	

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II.

მეცადინეობა ძველ ჯარისკაცთა.

1. მომზადება ახალ ჯარისკაცისა ჯარისკაცად და აღნუსხვა ცნობათა, რომელნიც საჭირონი არიან ჯარისკაცთათვის მათ სამსახურის პირველ წელსავე, ისე არის მოსაზრებული, რომ პირველ კარვობის გათავების ჯარის კაცნი მომზადებული იყვენ მათი ყოველგვარი სამსახურის ასრულებისათვის ომისა და მშვიდობიანობის დროსაც.

სამსახურის შემდეგ წლებში მეცადინეობა ჯარისკაცებისა განამტკიცებს და გააფართოვებს პირველ წელს მიღებულ ცოდნასა; ჯარისკაცი ემზადება უფრო საპასუხო თანამდებობისთვის, როგორც განმწესებელთა, გუშაგთა უფროსისა, ჯგუფის უფროსისა, მეზვერავთა უფროსისა და სხვა.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ ჯარისკაცთა მეცადინეობას, რომელნიც რაიმე მიზეზით ჩამორჩნენ პირველი წლის სწავლებასა.

შენიშვნა: აღნუსხვა ცნობათა, რომელნიც მოეთხოვებათ უფროს ვადის ჯარისკაცებს, მოყვანილია I თანდართში.

2. ძველ მსახურთ მეცადინეობაში უნდა იხელმძღვანელონ შემდეგი რიგებით:

ფიზიკური ვარჯიში სცვლიდეს ზეპირ მეცადინეობას და მათ შორის მოკლე ხანი ეძლეოდეს დასასვენებლად. დრო ამ მოკლე შეჩერებისა ჩაითვლება მეცადინეობისთვის დანიშნულ დროში. სადილთუკან მეცადინეობის დაწყება შეიძლება მხოლოდ ორის საათის შემდეგ და საჭიროა არჩევა უფრო სუბუქ ვარჯიშისა.

3. სარაზმო მეცადინეობა, სროლის სამზადისი ვარჯიში, სროლა, საველე სამსახურის შესწავლა, ტანვარჯიში და სხვა მეცადინეობა სწარმოებდეს თანახმათ არსებულ წესდებათა და დარიგებათა.

4. თუ საველე ტან-სავარჯიშო გაკეთებულია ზამთრის ბიშებზე და ბუნებრივ პირობების გამო შესაძლებელიამაშინ ძველი ჯ. კაცები ზედმიწევნით ვარჯიშობენ.

5. ყველა ფიზიკური ვარჯიში სწარმოებდეს, თუ შესაძლოა, გარეთ.

6. მეცადინეობდენ ყველა თავისუფალნი სამსახურისგან სარაზმო ჯარისკაცნი.

7. მკერვალნი, ხარაზნი და საერთოთ ყველა ხელოსნები მორაზმე ჯარისკაცთაგან, თუ გამოყოფილ არიან ცილკე კომანდებში, მეცადინეობენ ოფიცერის (მერაზმის) ხელმძღვანელობით არა ნაკლებ ერთი საათისა დღეში. ამის გარდა, ყველა ამგვარი ჯარისკაცები უნდა იგზავნებოდნენ კვირაში ერთხელ თავის გუნდებში სამეცადინეოდ.

8. წერა-კითხვის სწავლება ძველჯარისკაცთა სწარმოებდეს მუდამ მათ სამსახურის ხანში; ამას უნდა მოუნდეს ნაწილი იმ დროისა, რომელიც დანიშნულია ზეპირ სწავლებისათვის.

9. ძველ ჯარისკაცთა ზეპირ მეცადინეობის საგანს შეადგენს:

ა) განვითარება მოვალეობის გრძნობისა და სამხედრო სულისა;

ბ). გაფართოება და განმტკიცება ჯარისკაცისთვის საჭირო ცოდნისა.

აღზრდა ჯარისკაცისა მერაზმეთა პირდაპირ მოვალეობას შეადგენს. ხოლო განმეორება ცნობათა, რომელთაც მეორეხარისხის მნიშვნელობა აქვთ. შესაძლოა მიენდოს ნაცვლებსა და თავმდეგებსაც.

10. აღზრდა სწარმოებს ყოველკვირეულ თანახმათ „პრაკტიკულ დარიგებისა ახალ ჯარისკაცთა სწავლებისათვის.“ ამის გარდა, უნდა იყოს საუბრის საგნათ: 1) საუბარნი სასულიერო და ზნეობრივ შინაარსისა, მოძღვარის მიერ 2) საუბარნი შესახებ ამისა და ჯარის კაცისსაქმისა ომში, საუბარი სამხედრო ზნეობისა და სამხედრო—ისტორიულ შინაარსისა, აგრეთვე საერთო განათლებისათვის. 3) საუბარნი ექიმისა ჰიგიენაზე.

საუბარნი უნდა სწარმოებდენ გეგმით და საბოლოო მიზნად.

ა) იყოს არა მარტო საერთო განვითარება ჯარისკაცისა, არამედ მოვალეობისა, მამულის სიყვარულისა და ეროვნულ თავმოწონების შეთვისებაც.

11. ყველა რაზმგარეშე ჯარისკაცნი (მემუსიკენი, გადამწერნი, მეურმენი, ხელოსანი და სხვა სახელობის რაზმგარეშენი), გარდა მეცადინეობისა მათ ხელობაში, უნდა სწავლობდნენ: ა) წყობილებასბ) სამზადის ვარჯიშსა სროლისთვის თოფით და რევოლვერით, მათ კუთვნეულ იარაღის მიხედვით (გარდა ფელშერეაისა და რაზმის გადამწერლებისა); გ) ტანვარჯიშს და დ) მართებულ ცნობებს—თანახმად საგანგებო პროგრამმისა (თანდარდი II).

12. ზემოაღნიშნულ მეცადინეობას ეძლევა ყოველდღე $^1/_2$ საათი მაინცა.

13. ზეპირი და სახელობო სწავლება ჯარისკაცთა სწარმოებს ყოველკვირა ერთ საათს.

შენიშვნა პროგრამმა რაზმგარეშთა სწავლებისა მოყვანილია მე-II თანდართში.

14. უფროსნი ცალკე ერთეულებისა (უფროსნი შტაბთა, სამმართველოთა, და დაწესებულებათა) მიხედვით ადგილობრივ პირობათა, აწყობენ რაზმგარეშეთა მეცადინობას ან საერთო ჯგუფად, ან განცალკევებით და თვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თონვე მიუჩენენ რომელიმე ხელმძღვანელსა ამ მეცადინობისათვის.

15. საგანგებო დანიშნულების მცირე გუნდში, რომელნიც ყოველ ცალკე ერთეულში უნდა შედგენილიყვნენ, მეცადინობა სწარმოებს თანახმად საგანგებო დებულებათა ამ მცირე გუნდებისთვის, იმ გეგმით, რომელსაც შეადგენენ უფროსნი მცირე გუნდთა, თანახმათ ერთეულის უფროსთა დარიგებისა.

16. ის მებუკენი, რომელნიც განმზადებულ იქმნებიან სარაზმო და ათასეულის მებუკედ გაივლიან გამოცდას (სანაცვლო შკოლასთან) ყველა ცნობებში, რაც მართებულია რაზმგარეშებისთვის, მაგრამ იმ სივრცით, რაც დაწესებულია ნაცვლებისათვის. გასაადვილებლად მომზადებისა, ეს მებუკენი შესაძლოა მიჩენილ იქმნენ სანაცვლო შკოლას.

17. მებუკეთ მართებთ ყველა ცნობანი თანაბრათ სხვა რაზმგარეშე ჯ. კაცებისა.

18. თუ მებუკენი და მათი შეგირდნი გუნდებიდან იკრიბებიან რაზმის შტაბთან, თვის ხელობის უკეთ შესასწავლად, მაფი სწავლება უნდა გათავდეს 1 აპრილისათვის.

19. ყოველ წლივ, საზამთრო მეცადინობის ბოლოსა, უფროსნი ათასეულთა გაცდიან გუნდებში ძველ მსახურთა მომზადებულებას.

20. ცალკე ერთეულების უფროსნი (ან იგივე უფლებით აღჭურვილნი) ყოველწლივ გამოჯდიან წყობილებაში არა მყოფთ ჯ. კაცთა და გამოაცხადებენ თავის ბრძანებაში შედეგებს.



ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდართი I.

ჩამოთვლა

ცნობათა, მართებულთ ჯარისკაცთათვის მათ სამსახურის მეორე წლიდან.

1. საერთო ცნობანი.

ცოდნა დივიზიის და კორპუსის შემადგენელ ნაწილთა. ღირსებანი და გვარნი პირდაპირ უფროსთა სამხედრო მინისტრამდე.

2. წესდება დისციპლინარული.

მენაკი უფროსია უფლებისა,—რაზმეულის უფროს იდან დაწყებული და ზევით,—ჯარისკაცების შესახებ. წესი დისციპლინარულ სასჯელთა ასრულებისა.

3. წესდება შინაგან სამსახურისა.

უმფროსთ ჯარის კაცების საზოგადო მოვალეობანი. ათის თავის მოვალეობანი. გუნდის მორიგის მოვალეობანი, ყაზარმაში, კარვობაში და ლაშქრებში. სამზარეულის მორიგის მოვალეობანი და პურის საცხობში. მზვერავთა უფროსის მოვალეობანი. გაგზავნა და მიმოსვლა მცირე გუნდებისა. ჯარის კაცების ტანისამოსის ფორმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საგარნიზონო სამსახურის წესდება.

ყარაულების გამოცვლა, რომელთაც გუშაგი არა ჰყავთ საყარაულოს წინ. გაგზავნა და მიღება მცვლილებისა ყარაულების გაშინჯვა. გამწესებლების მოვალეობანი. ყარაულის და სადხრაჯო საგუშაგოს უმფროსის მოვალეობანი. ყარაულის გამოძახება. მზვერავთა უმფროსის მოვალეობანი, რომლებიც ყარაულიდან იგზავნებიან. თანამხლებლების (მცველების) უმფროსის მოვალეობანი.

5. ქვეითა ჯარის წესდება.

შარის უმფროსის მოვალეობანი. ჯგუფის მეუმფროსის მოვალეობანი და ათეულის უმფროსისა როგორც „შარში“ აგრეთვე შეჯრილ მწყობრში. მზვერავთა მოვალეობანი ომში.

6. საველე სამსახურას წესდება.

ცნობები დაზვერისა. მეუმროსეს მოვალეობანი საგუშაგოზე დარაჯების დროს; ყარაულიდან გაგზავნილ მზვერავთა მოვალეობანი, მოდარაჯეობა ლაშქრობის დროს საიდუმლო გასაშვები სიტყვები და სერგვანის სამსახური. გაცნობა ყიბლანისა ტელეფონისა და დურბინდისა.

7) დარიგება თოფით და რევოლვერით სროლის სწავლებისა.

სროლის კურსი. მანძილის გამოანგარიშება თვალითა და მანძილის შორ-საზომით—3000 ფეხის ნაბიჯამდის (ნაცვალთ-შკოლა დამთავრებულთათვის) აწყობილ თოფის გაშინჯვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8) **დარიგება სანგრების მოთხრისა.**

სავალდებულო ცნობები ჯარის კაცებთათვის და მინდვრად მათი პრაკტიკულად შესწავლა. ხელოვნური დაბრკოლებათა ძლევა.

9) **დარიგება ტან-ვარჯიშობისა.**

პირველი ტან-ვარჯიშობა. სირბილი და საველე ვარჯიშობა.

10) **ბაასით უნდა გავლილ იქმნეს.**

1) სამღვთო სჯულიდან-მღვდლის დარიგება.
2) ცნობები საქართველოს სახემწიფოს შესახებ.
3) სამშობლოს სიყვარული.
4) ჯარის მოვალეობანი სამშობლოსადმი.
5) ახლანდელი თოფის ცეცხლის ძალა და მნიშვნელობა, ხშირი და თხელი შარი. მნიშვნელობა საწყობილო ფრთებისა. შემოვლა მტრისა და მისი **წინაღმდეგობა.** თანხმობით მოქმედების სხვა და სხვაობა.
6) ჯანმრთელობის დაცვა-გაფრთხილება. (ექიმთა ბაასი).

ნაწილი III.

რაზმის ნაცვალთა შკოლები.

1) ნაცვლების მოვალეობის შესასრულებლად. ყველა ქვეითა რაზმებში არსებობს ნაცვლათა შკოლები.
2) პირადი შემადგენილობა ნაცვლის შკოლებისა იყოფება მუდმივად და ცვალებად. (არა მუდმივი).

მუდმივი შემადგენლობას ეკუთვნიან ოფიცრები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაცვლები და ათის თავები, რომლებიც ნაცვლის შკოლის შტატებში შედიან და აგრეთვე დროებით ჩარიცხულნი არიან.

ცვალებადს; (ანუ არა მუდმივს) შკოლაში მოსწავლე ჯარის კაცები.

3) ნაცვალთა შკოლის უფროსად ინიშნება რაზმის ერთ კაპიტანთაგანი, რაზმის უფროსის ამორჩევით. ამ თანამდებობაზედ მას ამტკიცებს დივიზიის უფროსი ანუ მისი მოთანასწორე პირი და სარგებლობას გუნდის უფროსის ყოველივე უფლეაებით.

4. ნაცვლის შკოლის უფროსის თანაშემწეთ ინიშნება შტატებით განსაზღრული რიცხვი აფიცერებისა და ნაცვლებისა.

გარდა ამისა, იმის მიხედვით თუ რამდენი მოსწავლეა შკოლაში და ან როგორ არიან დაბინავებულნი, რაზმის უფროს ეძლევა ნება დანიშნოს დროებით შკოლაში მაცდინეობის წარმოების დროს რამდენიმე აფიცრები, ნაცვლები და თავმდეგები.

აფიცრების რიცხვი ისაპლვრება ისე, რომ თითო აფიცერს შეხვდეს არა უმეტეს 30—მოსწავლისა.

ნაცვალთა და თავმდეგთა რიცხვი უნდა უდრიდეს გუნდის წყობილების თვლილებას.

გარდა ამისა. ნაცვალთა შკოლაშია დროებით ინიშნებიან:

ა) მებუკე.

ბ) უმცროსი ნაცვალი ანუ თავმდეგი მეკუჯნავეს თანამდებობის აღსასრულებლად.

გ) ჯარის კაცები საჭმლის მოსამზადებლად, თუ სამზარეულო ცალკე არის მოწყობილი.

5) ნაცვლის შკოლის უფროსი პასუხის მგებელია შკოლის შინაურ წეს-რიგისა, მის შემადგენლობის აღზრდა—მომზადებისა და აგრეთვე მნეობისისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ხელმძღვანელობს უმცროსი აფიცრების საქმიანობას და სამსახურს. უნიშნავს თვითეულს მათგანს მუდმივ საბელატოდ მწყობრს და ანდობს თვითეულს მათგანს შკოლის საერთო ნაწილებს: სწავლისას, შინაურ წეს-რიგისას და მნეობისას.

6) უმცროსი აფიცერი პასუხის მგებელია მისდამი მინდობილ მწყობრის აღზრდა—სწავლებისა (და შკოლის საერთო ნაწილის მინდობილ სწავლებისა, შინაგან წეს-წყობილებისა და მნეობისა (მუხ. 5).

7) რაზმის უფროსი პირადად ადევნებს თვალყურს შკოლის მაცადინეობას; შკოლის უახლოეს თვალ-ყურის დევნას ანდობს რაზმის ერთ-ერთ ათასის თავს, რომელიც იწოდება ნაცვალთა შკოლის მეთვალყურეთ.

8. ნაცვალია შკოლის მეთკალყურეს არ ეძლევა უფლებები ცალკე ათასეულის უფროსისა. ის არის პასუხის მგებელი შკოლაში სწავლის მიმდონარეობისა, თანახმად რაზმის უფროსის მიერ დამტკიცებული საერთო მაცდინების გეგმისა და ხელმძღვანელობს მოცადინებებს მოსამზადებელ ხანაში. (მუხ. 12)

ის ამტკიცებს შკოლის უფროსისაგან შედგენილ თვიურ და კვირეულ მაცოდინეობის ნუსხას. ესწრება რა შკოლის მაცოდინეობას, თვალ-ყურს ადევნებს მაცდინეობის სისწორით მხვლელობას და შკოლის შემდგონელობის უფროს პირთა შესაფერ მომზადებულობას.

მას ევალება შკოლის თვიურ ანგარიშებისა გაშინჯვა.

9) მთელი შემადგენილობა შკოლისა, როგორც მუდმივი, აგრეთვე არა მუდმივი თავისუფლებიან ყოველივე სამსახურისაგან შკოლის გარეშე და პირდაპირ მოვალეობისაგან არ უნდა იქმნენ მოცდენილნი.

ნაცვალთა შკოლა მონაწილებას იღებს მთეი რაზმის პარადში და აგრეთვე სროლის და სხვა გვარ უფროსებისგან გაშინჯვებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისთვის რომ შკოლაშსი მოწაფეებმა ყარაულის სამსახურის პრაკტიკა მიიღონ შეიძლება დაინიშნოს რაზმის ანუ ქალაქის ყარაულში არა უმეტს 2-ჯერა მთელი სწავლის დროს. ამ შემთხვევაში შკოლის ოფიცრები ინიშნებიან რაზმის და ყარაულის მორიგეებდ და მის თანაშემწეთ. და აფიცრის ყარაულის უფროსებად.

დროს, შკოლის ყარაულში დანიშვნისას, ირჩევს მისი უფროსი.

10. ყოველ წლივ შკოლის კურსის გასავლელად—მის არა მუდმივ შემოდგონდიბაში ინიშნებიან:

ა) რამდენიმე რიცხვი ახალი ჯარის კაცებისა.

ბ) მებუვენი—რაზმის მებუკეებად დასნიშნავნი.

11. რაზმის უფროსი შკოლაში მოსწავლეთ ნიშნ

იმისა და მიხედვით თუ რამდენი ნაცვალი უნდა იქმ

დათხოვნილი სათადარიგო ჯარში შემდეგ წელში, მაგრამ

არა უმეტს 2-3 ნაცვალთა შტატის რიცხვისა.

12. შკოლაში მაცადინეობა იწყება 15 იანვარს და და იყოფა ორ ხანად:

ა) **მოსამზადებელი**—პირველ მარტამდე შკოლის უფროსების მოსამზადებლად (მუხ. 4).

ბ) სასწავლო 1—მარტიდან 15 ნოებრამდე. ჯარის კაცების მოსამზადებლად. დრო, 15 ნოემბრიდან 15 იანვრამდე ინიშნება მუდმივ შემდგენილობის ჯარის კაცების დასასვენებლად, შკოლის და მისი ქონების მოსამზადებლად მომავალ სასწავლო დროისათვის.

ამავე დროს შკოლის მუდმივი შემდგენელობისა და აგრეთვე დროებითი პირნი შეიძლება დათხოვნილ იქმნენ.

13. ყოველ წელს, პირველ იანვრისთვის რაზმის ბრძანებაში ცხადდება რიცხვი იმ ახალ ჯარის კაცებისა, რომელნიც უნდა დაინიშნონ თითო გუნდიდან.

შკოლაში დასანიშნ ახალი ჯ. კაცების სია, ცხადდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა ერთეულის ბრძანებაში. აღკრძალულია ამ ახ. ჯ. კაცებზე სხვა რაიმე დანიშნულების მიცემა.

14. შკოლაში დანიშნულ ახალ. ჯ. კაცებთან სწარმოებს კერძო მაცადინეობა გუნდის უფროსის ხელმძღვანელობით, ისე რომ, ამ ახალი ჯ. კაცებისათვის დანიშნული კურსი უნდა გავლილი იქმნეს თებერვლის გავლილის.

15. თებერვლის ბოლოს ინიშნება შკოლაში მისაღები გამოცდა.

გამოსაცდელ კომისიაში შკოლის მეთვალყურის თავჯდომრებით ინიშნებიან: ყველა ოფიცრები შკოლის მუდმივი შემადგინელობისა დროებით შკოლაში ჩარიცხულნი და ყველა ათასეულის თითო გუნდის უფროსი.

16. გამოცდაში დაიშვებიან მხოლოდ ფიზიკურად ჯანმრთელნი ჯ. კაცები, რისთვისაც მათ ადრე ენიშნებათ ექიმთა შემოწმება.

17. გამოცდა სწარმოებს შემდეგ საგნებში:

ა) დაბეჭდილის წაკითხვა და წიგნიდან გადაწერა.

ბ) შერთება და გამოკლება უბრალო სამნიშნოვან რიცხვებისა.

გ) სროლის მოსამსზდებელი ვარჯიშობა.

დ) ხიშტის ხმარება.

ვ) მწყობრივი მომზადება.

ვ) ტანთვარჯიშობა.

ზ) ჯარის კაცის სავალდებულო ცნობები.

(ნაწ. I დებულება ქვეითა ჯარის სწავლისა)

18. მოსწავლეთა ცოდნა ფასდება სამ. ხარისხად: უაღრესი, კარგი და ცუდი.

19 ნაცვალთა შკოლაში ჩარიცხვა სწავლის დაწყების შემდეგ შეიძლება განსაკუთრებული შემთხვევაში—რაზმის უფროსის ნებართვით.

20. შკოლაში მიღებულთა სია ცხადდება რაზმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებაში. შკოლაში მიღებულები თავიანთ გუნდებში ირიცხებიან და იქვე იღებენ ფიცს.

21. ნაცვალთა შკოლა მთელი წლის განმავლობაში შეადგენს ცალკე მცირე გუნდს, რომელიც რაზმის შტაბთან იკრიბება.

ის მოთავსებულია ყაზარმაში, შეძლებისამებს ერთად და ისე რომ კიდევ იყვეს ცალკე ოთახები სამაცადინოდ.

ასეთივე ბინა უნდა იყოს კარვობის დროსაც კარვებისაგან.

22. ნაცვლათა შკოლა იყოფება მწყობარებად, რომელთა რიცხვი დამოკიდებულია მთელი შკოლის შემადგინელბის რიცხვზე.

მწყობრები ბარდება შკოლის მუდმივ და დროებით შემდგენელ აფიცრებს.

ნაცვლები და თავმდეგები იყოფება თანაბრად მწყობრებში—ნაცვლებისა და ათის თავების თანამდებობაზე.

23. მოსწავლეთა მოსამზადებლად მათ მომავალ თანამდებობისთვის სასარგებლოა დროებით მათი რიგ-რიგად დანიშვნა ნაცვლებისა და ათეულების თანმდებობაზე—1—2—კვირით, შკოლის მუდმივ შემადგინელობის მხვედველობით.

24. მთელი კურსის სწავლის განმომავლობაში ნაცვალთა შკოლას არაავითარი სანი—(შინჯვა) არ ენიშნება გარდა სროლისა.

25. ნაცვალთა შკოლა რაზმის საზოგადო მაცადინეობაში არ ღებულობს მონაწილეებას. თავისუფლდება ლაშქრობისაგან, აღლუმებისაგან და სეირნობისაგან.

საზოგადო კარვობაში და სამშვიდობო ლაშქრობაში ის მონაწილეობას არ ღებულობს.

26. ყოველივე დარგს საზრდოებისას და ფულინისწერილებს შკოლის მუდმივ და არ მუდმივ შემადგენლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისას, ღებულობს შკოლის უფროსი და არიგებს არსებულ დებულებების (წესდებების) თანახმად.

ნივთიერი დაყმაყოფილება მუდმივ შემდგომლების ჯ. კაცებისა ხდება შკოლაში. არა მუდმივ შემადგენლობისა და გუნდებში დროებით ჩარიცხულთა რომლებშიაც ისინა ირიცხებიან.

ნაცვალთა შკოლის კვების წესი რაზმის უფროსის ნება-ყოფილებით ხდება ადგილობრივ პირობების მიხედვით.

თუ შკოლა ცალკე იკვებება, მესანოვაგეს დამხარშავის თანამდებობაზე ინიშნებიან ჯ. კაცები გუნდებიდან, რათა შკოლის ჯ. კაცები არ იქმნენ მოცდენილი თავის საქმეს. (მუხ. 4 პარ. 3).

27. შკოლის ანგარიშის წარმოება არსებულ წესის მიხედვით ხდება.

გარდა ამისა თვითეულ მოწყობარში, აფიცრები ახდენენ მოსწავლეთა დახასიათებას, სწერენ თავიანთ დაკვირვებებს და ისეთ ფაქტებს, რომლებიც ახასიათებენ ჯ. კაცთა პიროვნებას. ეს დახასიათებანი ეცნობებათ გუნდის უფროსებს შკოლის დამთავრების შემდეგ.

28. ნაცვალთა შკოლის სწავლის კურსი ორ ხანად იყოფა:

ა) 1—მარტიდან 1—ენკენისთვემდის—სწავლება და შეთვისება თეორიულად და პრაკტიკულად ყველა ცნობების, რომლებიც საჭიროა ნაცვლებისათვის.

ბ) 1—ენკენისთვიდან 15—გიორგობისთვემდე—მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს, ცოდნის განვითარების, რომ სწავლება შესძლონ ახალი ჯ. კაცებისა.

29. ნაცვალთა შკოლაში სწავლება ხდება შემდეგი პროგრამით:

ა) სალვთო სჯული (მსურველთათვის).

ბ) წერა-კითხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ანგარიში.

დ) სამხედრო წესდებები.

ე) სამსახური და საზღვრება ჯარისა.

ვ) რუქებისა და გეგმებისა კითხვა; მცირე რუქების შედგენა.

ზ) ჯანმრთელობის დაცვა.

ჰ) წყობილებისა და საველე სწავლების განყოფილებანი.

30) ყველა საგნების სწავლება, გარდა სამღვთო სჯულისა და ჯანმთელობის დაცვისა, ხდება მწყობრებში უმცროსი აფიცრებისაგან, სამღვთო სჯულს ასწავლის მღვდელი და ჯანმთელობის დაცვას რაზმის ერთ:ერთი ექიმი.

31.—შკოლის სანიმუშო საზოგადო მაცადინობის კურსი საათებად დაყოფილი თვითეულ საგნის სასწავლებლად ნაჩვენებია ამ დებულების II თანდართში, ის მხოლოდ სახელმძღვანელოდ არის თვითეულ რაზმში, ადგილობრივ პირობათა მიხედვით.

ამ გეგმას ადგენს შკოლის უფროსი, მისი მეთვალყურეს ხელმძღვანელობით და ამტკიცებს რაზმის უფროსი.

32. ამ გეგმის მიხედვით შკოლის უფროსი:

ა) ყოფს თვითეული საგანს განყოფილებად, რომელსაც უნდა გავლილ იქნეს ყოველ თვისა და კვირის განმომავლობაში.

ბ) ადგენს დაწვრილებით ყოველ დღიურ მაცადინეობის გეგმას.

ყველა ამათ ამტკიცებს შკოლის მეთვალყურე.

33. კლასისა და წყობილების მაცადინეობა ინიშნება:

1—მარტიდან, 1—მაისამდე და 1—ენკენისთვიდან 15—ნოებრამდე ექვსი სათი დღეში. 1—მაისიდან, 1—ენკენისთვემდე რვა საათი დღეში.

შაბათობით სწავლა მარტო სადილობმდის სწარმოებს და გრძელდება 4—საათი.

სანიმუშო დროს დაყოფვა ნაჩვენებია II-თან დართვაში.

34. ზემო მუხლში ნაჩვენებ სამაცადინო დროს გარდა, ინიშნება ორი საათი მეორე დღის გაკვ„თილების მოსამზადებლად, რომელის დროსაც კლასის ოთახებში უნდა ესწრებოდეს შკოლის ერთი აციცერთგანი.

ჯარის კაცებისაოვის ეს მეცდნეობა სავალდებულო არ არის:

35. თვითეული მწყობრში მაცოდინეობის დავთარია საჭირო (დართვა III).

36. ჯარის კაცების მომზადებას, ნაცვალთა შკოლაში მიზნად უნდა ედოს მომზადება ისეთი მცოდნე და შეგნებული ნაცვლებისა, რომლებსაც შეეძლება ექნებათ გახდნენ აფიცრების სანდო თანაშემწენი ყოველგვარ საველო საქმიანობის დროს, აგრეთვე მშვიდობიანი დროს —შინაგან წესიერების თვალყურის დევნა და ჯარის კაცთა სწავლება.

ყოველივე რაც უნდა პრაკტიკულად გავლილ იყვეს ზეპირ დაუსწავლელად, უსათუოდ ამ მხრით უნდა იყვეს შეთვისებული; ამასთანავე პრაკტიკულ მეცადინეობას სადაც კი საჭიროა თანასდევს საჭირო აღსნა.

მოსწავლეთ უნდა უჩვენო ყველა ილეთები და საშვალებანი, რომლებიც მიღებულია ახალი და ძველი ჯ. კაცების სასწავლებლად, რათა ნაცვალთა შკოლა დამთავრებულები გამოცხადნენ გუნდებში კარგ ხელმძღვანელებად.

37. თავისუფალისა და კვირა უქმე დღეებში უნდა სწარმოებდეს სამხედრო—ზნეობრივი საუბარი და აგრეთვე სამშობლოს ცოდნა, ფიზიკური გეოგრაფია და სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა საკითხები, რომლებსაც შეუძლია გააფართოვოს და აღამაღლს მოსწავლეთა შორის გამჭვრეტელობა და საერთო განვითარება.

ამასვე ეკუთვნის მოწყობა. გასართობთა, სათამაშოთა, გუნდების სიმღერა და სხვა, რომ შემდეგში, მათ თითონ შესძლონ ხელმძღვანელობა.

38. მეორე სწავლის ხანის გათავების წინ, ნაცვალთა შკოლაში მოსწავლეთ სია სდგება მათი ცოდნის აღნიშვნით: უაღრესი, კარგი და ცუდი—შემდეგ საგნებში:

1) სამღვთ სღული.

2) წერა-კითხვა.

3) ანგარიში,

4) ჯარ. კაცთა სავალდებულო ცოდნები, სამსახურის გავლა და ჯარის კვება.

5) წესდებები შინაგან სამსახურისა წესრიგისა, საგარნიზონო, სავალე სამსახურისა და დარიგება სროლის წავლისა.

6) ჯანმართლობის დაცვა.

7) საინსტრუკტორო ნაწილთ—წყობილების სწავლებისა, სროლის მოსამზდებელი ვარჯიშობა, ტან-ვარჯიშობა, ხიშტის ხმარება და სანგარების თხრა.

გასართობთა, სათამაშოთა, გუნდების სიმღერა და სხვა, რომ შემდეგში მათ თითონ შეეძლოთ ჯარისკაცთა ხელმძღვანელობა.

39. სწავლის პირველ ხანის გათავების შემდეგ, ინიშნება გამოსაცდელი კომისსია რაზმის უფროსის თავმჯდომარეობით, ყველა ათასის თავებისაგან და თითო ათასეულებისაგან ერთი გუნდის თავი.

გამოცდა სწარმოებს შემდეგ განყოფილებებში.

1) წყობილებისა.

2) სროლის მოსამზადებელ ვარჯიშობაში.
3) მანძილის თვალით აღნუსხვა.
4) ტაქტიკური მომზადება.
5) ტან-ვარჯიშობა.
6) ცოდნა საველე წესდებისა.
7) სანგარების კეთება.

ჩამოთვლილ საგნებიდან გარდა ტაქტიკურ, საველე და სროლის მომზადებულობისა გამოცდა სწარმოებს ცალ-ცალკეოდ.

პრაკტიკულ და საველე მომზადებულების გაშინჯვა ხდება პრაკტიკულად მინდორში—ჯგუფებით, ათეულებით და მწყობრებით არა რთულ ამოცანეების შესრულების დროს, ამასთანავე ჯარის კაცთა უფროსებად ინიშნებიან ცუდად მომზადებულნი მოსწავლენი და დანარჩენები კი—კომისიის თავმჯდომარის ამორჩევით.

40. სწავლის მეორე ხანის გათავების შემდეგ აგრეთვე ხდება მოსწავლეთა გამოცდა.

კომისიას გამოაქვს თავისი დასკვნა შკოლის წარმატებითი მაცადინეობისა, და უჩვენებს იმ დანაკლისს, რომელიც შეამჩნია მომავალ ნაცვალთა მომზადებაში.

41. კარგ შკოლა დამთავრებელად ითვლებიან ისინი, რომელნიც გამოჩდებიან უაღრეს და კარგ მომზადებულებალნი. წარმატებით კურს დამთავრებულთათვის სდგება სია ანაბანაზე და თვითეულის მათგანს ეძლევა მოწმობა იმ ფორმით, რომელიც ნაჩვენებია მე-5. დართვაში.

კურს დამთავრებულთა სია რაზმის ბრძანებაში ცხადდება.

42. იმ მცირე გუნდების ჯარის კაცები, რომელიც მცირე რიცხოვნებისა გამო არა აქვთ—თავიანთი ნაცვალთა შკოლები, იგზავნებიან ოლქის შტაბის განკარგულებებით მახლობელ სამხედრო ერთეულებში, იმ ანგარიშით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ გამოცხადდნენ სწავლის დაწყებამდის ნაცვალთა შკოლებში, სადაც სხვებთან ერთად უნდა გაიარონ მთელი კურსი.

მათი გამოცდა საერთო წესით ხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდართვა I.

პროგრამა.

ქვეითა ჯარის კაცების, რაზმის ნაცვალთა შკოლებში.

1. სამლვთო სჯული.

კერძო შემუშავებულ პროგრამით.

2. წერა-კითხვა.

წერა კითხვაში უნდა მიახწიონ რათა სწავლის დამთავრებისას:

ა) კითხულობდნენ ნაბეჭდისა და ხელნაწერს ისე, რომ მართლაწერის ნიშნებთან დგებოდნენ და შეეძლოთ წაკითხულის თავის სიტყვით გაგებულად გადმოცემა.

ბ) სწერდენ წაკითხულს გარკვეულად, შეუცდომელად

გ) შეეძლოთ არა რთულ მოხსენებემის შედგენა, იმ შემთხვევების შესახებ, რომლებიც ყველაზე უფრე ხშირად შეიძლება შეხვდესთ ნაცვლებს სამსახურის დროს.

აგრეთვე შეეძლოთ აწარმოვონ სამუშავო ფურცელი, სამწყობრო მორიგეთა ფურცლები, სახაზინო და საკუთარი ნივთების ფურცლები მეკუჭნავეს წიგნი და სურსათის ფურცელი, მესანოვაგეს წიგნი.

3. ანგარიში.

შეერთება, გამოკლება, გამრავლება და გაყოფა-სამნიშნოვან რიცხვებისა. შეერთება, გამოკლება, გამრავლება წოდებული რიცხვებისა. დანაკუწება და დარდაქცევა. საზოგადო ცნობები უბრალო ნაწევარზე (კუწზე) ცოდნა საზომების: სიგძის, სიმძიმის, სითხის, ფრქვევადი საგნებისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროის, ფულისა, ათწილადი სასწორისა-და სათვალავზე გავლილ მოქმედებათა ამოცანეები...

სასარგებლოა ამოცანეები აღებულ იქმნას ჯარის კაცის ცხოვრებიდან და აგრეთვე კითხვებიც, რომლებიც ეხებიან წყობილების სამსახურს, ჯარის შემადგინელობას, ფულის, ნივთების და სურსათით საზრდოებას.

მთავარი ყურადღება უნდა მისცეს ზეპირ ამოცანეების აღსნას.

4. სამხედრო წესდებები.

წესდებების ცნობები უნდა ისწავლებოდეს როგორც ახსნით ისე ჩვენებით, მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ გართობა როგორც ერთით ისე მეორეთ ცუდად შედეგს მოუტანს სწავლის საქმეს.

ა) შინაგან სამსახურის წესდება.

1) წყობილების გუნდის დაყოფა შინაურ მართველობისათვის. უფროსი ჯარის კაცები.

2) ჯარის კაცთა მოკალეობანი. ჯ. კაცთა მეუფრობა უფროს-ჯარ. კაცთა მოკალეობნი: ათისთავისა, ნაცვლისა და ზედამდეგის მოვალეობანი.

3) ჯარის კაცთა მოთავსება ყაზარმაში და შინაური წეს-რიგი. საზოგადო დებულებანი. შენობის სუფთათ შენახვის წესი.

ბუხრების გათბობა და შეშის მიღება. ჰაერის გაწმენდა. შენობის განათება. დროს საზოგადო განაწილება. გუნდის შენობის ალაგება. დილით გაშინჯვა. სასწავლად გასვლა. განგაშზე შეკრება. სადილი და ვახშამი. მნახველები. ჯ. კაცების დათხოვა ეზოდან. აბანოში გაგზავნა. საღამოს გამოძახების წესი.

4) ჯ. კაცთა დაპატიმრება. პატიმართა შენახვის წესი. პატიმართვა გაგზავნა და განთავისუფლება. ჯარის

კაცთა ჯანმთელობის დაცვა ექიმთა გაშინჯვა. ავადმყოფის გაგზავნა საავადმყოფებში. ჯარის კაცთა გამოწერა საავადმყოფოებიდან.

ქრისტიანული მოვალეობათა ასრულება.

5) ჯარ. კაცთა განწესება სამსახურში და სამუშაოდ. წესი განწესებისა და მათი თანაბრად განიწილება. ანგარიში განწესებისა. თანამდებობის ჯ. კაცების და ახალი ყარაულების გაგზავნა. გათელა და მიმოსვლა მცირე გუნდებისა.

6) მორიგეთა და თანამდებობის პირთა მოვალეობანი. მორიგი გუნდის, საავადმყოფოსი, სამზარეულოში და პურის საცხობში. რაზმის ნაცვლის ყარაულის ინსტრუკცია.

7) ლაშქრობა. ბინა მწესების მოვალეობანი და მათი მგზავრობის წესი. მესანოვაგისა და მხარშველების გაგზავნა. პურის მცხობელთა მცირე გუნდის უფროსის მოვალეობანი და მათი მგზავრობის წესი. ბინიდან გამგზავრება. მგზავრობის წესი. წინმოვალი და უკან მოვალი რაზმები. მორიგეთა მოვალეობანი ლაშქრობის დროს, წესის დაცვა. დგომა: დასვენება, ღამისა და დღის გატარება.

8) კარვობა. მორიგეთა მოვალეობანი. ვის უნდა გამოუძახონ მორიგეები და როგორ დგებიან. ყარაულები კარვობას და მათი მოვალეობანი. საიდუმლო სიტყვების მიცემა. ყარაულობის განრიგება და გამოცვლა. ყარაულების გამოძახება თოფით. საარი, სასწავლებლად გამოსვლა და დაბრუნება, სხვა და სხვა წესები, რომლებიც კარვობის შინაურ ცხოვრებას ეხებიან.

შენიშვნა: კარვობის სამსახური პრაკტიკულად ისწავლება კარვობის დროს. თუ ერთეული საკრვოდ არ არის გასული, მაშინ კარვობის სამსახურს უნდა გააცნო ნიმუშად საზაფხულო მაცადინოობის დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესდება დისციპლინარული.

სამხედრო დისციპლინისა და სალმინობის ვითარება. წესრიგისაგან მოთხოვნილებანი უფროსებისადმი მორჩილთა შესახებ. წეს-რიგის პატიჟი ჯ. კაცებისადმი. წესები და მოვალეობანი ნაცვლების პატიჟის დადებისა. ჯ. კაცებზე პატიჟის დადება და მათი სისრულეში მოყვანა. საყივრები ცნობები სამხედრო სისხლის სამართლიდან. უმაღლესი სასჯელი უაღრეს სამხედრო დანაშაულებისათვის, რომელსაც სასამართლო უსაჯავს.

5. წესდება საგარნიზონო სამსახურისა.

1) გარნიზონის უფროსი და კომენდანტი.

2) საზოგადო დებულებანი ყარაულთათვის. ყარაულის დანიშნულება, მისი შემდგინლბა და გაყოფა—ყარაულის მორჩილება—ქვეითა ჯარის ყარაულების და გუშაგების შეთარაღება.

3) ყარაულების განწესება, რამდენი ხნის შემდეგ უნდა თქმანეს გამცვლილი ყარაულები. ყარაულების გათვლა ღამის საგუშაგონი. საგუშაგოს ფურცელი. საგუშაგოს ტაბელი.

4. საიდუმლო და გასაშვები სიტყვები, რისთვის ინიშნებიან და ვის ეცნობება.

5) ყარაულის განწესება. ყარაულის უფროსებისგან ყარაულების მიღება. ყარაულის გამოყვანა განსაწესებლად და მათი ადგილზე დაწყობის, დალაგების წესი განსაწესებლად ყარაულებისაგან მორიგის შეხვედრა.

განრინება ყარაულის და გამგზავრება თავიანთ საგუშაგოებისაკენ.

6) ყარაულების გამოცვლა ყარაულის გამოცვლის წესით, რომელსაც არაპყავს კედაროს გუშაგი.

7) გუშაგების დაყენება და გამოცვლა. შინაგანი და გარეგანი, ერთეული და წყვილი გუშაგები. გუშაგების დაყენების წესი. გამომცვლელთა საგუშაგოებზე გამგზავრების წესი. გამოცვლა ერთეულ და წყვილ გუშაგებისა. საგუშაგოს ჩაბარება. განმწესებელთა მოვალეობანი პირველ გამომცვლელთა დაყენების დროს.

8) ყარაულში დასაცავი წესი. ცვლათა გაგზავნა და მიღება გამოცვლის შემდეგ. ყარაულის გაშინჯვა. ყარაულში უცხო პირთა დაშვების წესი. საარი. ყარაულის შინაური წეს-რიგი. ყარაულის თოფით გამოძახება. დაპატიმრებულ ჯარ. კაცთა შენახა საპატიმროში.

9) ყარაულის პირთა მოვალეობანი. განმწესებლის მოვალეობა. ყარაულის ნაცვლათა მოვალეობანი. ყარაულიდან გაგზავნილ მზვერავთა მოვალეობანი.

ჯარის კაცებისაგან დანიშნულ ყარაულის უფროსის მოვალეობანი: საერთო მოვალეობანი, მოვალეობანი საპატიმროში, კერძო მოვალეობანი ციხეში და სხვა სამხედრო და სამოქალაქო საპატიმროებში. ფულის, და სახაზინო ქონების შენახის მოვალეობანი. დროებით ყარაულების, მოვალეობანი, რომლებიც დანიშნულ იქნებიან ხალხის შეგროვის დროს და აგრეთვე.

თეატრებში და ცეცხლის გაჩენის დროს. საპატივო ყარაულის უფროსის მოვალეობანი. სამხედრო ოლქის სასამართლოში.

10. ყარაულებისაგან და გუშაგებისგან სალამის მიცემა.

11. საპატივო გუშაგები, თანმხლებლები და გზირები. საპატივო ყარაულიდან—საპატივო გუშაგების დაყენება. რისთვის ინიშნებიან საპატივო თანმხლებლები და გზირები. ყოველ დღიურ თანმხლებლების მოვალეობანი.

12) მოვალებანი მზვერავების, რომლებიც ჯარისაგან მილიციის დასახმარებლად ინიშნებიან, მათი მიმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლის წესი. მოვალეობანი ხმაურობისა და უწესოების მოსასპობლად. მზვერავებისაგან იარაღის ხმარება—საჭირო დროს. მზვერავთა უფროსის მოვალეობა.

13) ტუსაღების დაცვა მათი ტარების დროს. მცველის უფროსის მოვალეობა.

მცველთა რიცხვი, როდესაც პატიმრები ბორკილებითა და უბორკილოთ მიჰყავთ და საპატიმრო ეტლები.

14) ჯ. კაცების წარდგომა უფროსებთან სხვა და სხვა შემთხვევებში და მათი ტანისამოსის ფორმა.

15) სადარაჯო საგუშაგოების დანიშვნა, მათი შემადგენელება. მორჩილება. შეიარაღება. გამოცვლა. წესი სადარაჯო საგუშაგოებზე.

მეუფროსეს მოვალეობა, სალამის მიცემა.

16. ჯარის სამუშაოთ დანიშვნა. სამუშაოთ დანიშნულ მცირე გუნის უფროსის მოვალეობანი.

17) ტანისამოსის ფორმა გარნიზონის სამსახურის დროს.

18) წესები ჯ. კაცთა დამარხვის დროს.

6. ქვეითა ჯარის წყობილების წესდება.

1) ცალკე და მწკრივის სწავლება.

2(გაფანტული წყობილების (შარის) სწავლება.

3) მწყობრის სწავლება—შეჯრილი და გაჯრილი წყობილება.

4) გუნდის სწავლება—შეჯრილი წყობილება და გუნდის საომარი წესი.

7. სანგარების კეთების წესდება.

საჭირო ცნობები—ჯარის კაცისა, ათის თავისა და ნაცვლისა.

8. თოფიდან და რევოლვერიდან სროლის სწავლების წესდება.

საზოგადო ცნობები სროლის: სროლის სისწორე. სროლის წესები.

შენიშვნა. ყველა ეს ცნობები ისეთი სივრცით უნდა იყოს გავლილი, რომ მოსწავლეთ არა მარტო თითონ შეეძლოთ შეგნებულად სროლა, არამედ ომში შესძლონ ხელმძღვანელობა ჯგუფისა და ათეულის სროლისა.

სროლის ილეთები.

მოსამზადებელნი ვარჯიშობანთ სროლისა.

სროლის კურსი.

მანძილის თვალდათვალ აღნუსხვა. სასროლ მინდორზე წესების დაცვა. საჩუქრები სროლისა და თვალდათვალ მანძილის აღნუსხვისათვის.

9. საველე სამსახურის წესდება.

მინდვრად ჯარის მართვის წესების საზოგადო ცნობები.

ბრძანებისა და მოხსენების გადაცემა.

კავშირის საშუალებანი.

ქვეითა ჯარისაგან დაზვერვა. მზვერავთა მოქმედება სხვა და სხვა შემთხვევაში.

მზვერავთა უფროსის მოვალეობა.

თავდაცვა დასვენებისა და ლაშქრობის დროს.

დასასვენებლად დადგომა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლაშქრობა სხვა და სხვა დროს.

საზოგადო ცნობები სამ გვარი ჯარისა ომისა. ერთმანეთის კავშირი ქვეთა ჯარის მოვალეობა სხვა ჯარებისადმი. ქვეითა ჯარის მოქმედების დაწერილებით შესწავლა ომში გუნდების მოქმედებით.

10. ტან-ვარჯიშობის შესწავლის დარიგება.

სწავლის წესი და ილეთები ისწავლება ტან-ვარჯიშობის შესწავლის დროს. კლასში მოცდინეობის დროს-კი მხოლოდ სწავლის საზოგადო დარიგება. ადამიანზე ფიზიკიურ ვარჯიშობის გავლენა ექიმთა საუბრით ისწავლება.

11. ჯარის კაცებისგან სამსახურის გავლია.

ქვეითა ჯარის სამმსახურის ვადა. ჯ. კაცების სამახურში სხვა და სხვა დაჯილდოება. პორობები და ვადა ნაცვალთა—დაჯილდუბისა. ნაცვოლთა წოდებით და აფიცრის ჩინით დაჯილდობა ომში სიმამაცვისაფის. დათხოვნა: ავადმყოფობით და მოკლე ვადიო. დათხოვნის წესი: დათხოვნილთა ჯ. კაცების მოვალეობა და მათი მორჩილება.

იმ ნაწილების მოკლე ისტორია, რომელშიაც ჯ. კაცი მსახურებს. საყურადღებო ცნობები ნაწილის ცხოვრებიდან მაგ. დაარსების დრო, ლაშქრობაში მონაწილობა. ომში გამოჩენილ სიმამაცის ნიშნები; კერძო არსების მამაცური მოქმედებანი. სამხედრო ჯილდოების მოკლე ცნობები.

12. ფულითა და ნივთიერი საზრდოება.

ფულით საზრდოება. ჯამაგირი. შემთხვევა როდის წყდება ჯამაგირის მიცემა. ამუნიციის ფული. მისი რიც-

ხვი და მიცემა. საკუთარი ფულები. მისი შესანახად ჩაბარება და მიღება, ფულიანი წერილების მიღების წესი

სურათ-სანოვაგით საზრდოება. სურსათის მიცემა ერთ სულზე დღეში. სურსათ-სანოვაგის ხელზე მიღება მათგან ვინც ქვაბიდან არ საზრდოებს.

ჯარის კაცების ქვაბიდან საზრდოება და სამზადის განაწილება.

ნივთიერი საზრდოება. წლიური ნივთები, მათი რიცხვი და დარიგება. ტანისამოსი დაღი. სალაშქრო საშურველის გაზომა. ჩანთაში ნივთების ჩალაგებბ.

13. გეგმების კითხვა.

1) უმთავრესი პირობითი ნიშნების გარჩევა. 2) თვალით დასანახ საგნებაშდის მანძილის გამონგარიშება რუქაზე. 3) ქვეყნის მხარეების მონახვა რუქაზე. 4) დაახლოვებით აღნუსხვა ადგილობრივ საგნებისა ერთი მეორესადმი—მოკლე რუქების სახით.

14. ჯანმრთელობის დაცვა.

ამ განყოფილების შესწავლას აქვს მიზნად მისცეს საშველება მოსწავლეთ შეგნებულად მოეკიდონ წესდებებისაგან მოთხოვნილ გიგიენის წესებს. ასეთი დამოკიდებულობა შემდეგში, ნაცვალთა მოვალეობის აღსრულების დროს, მისცემთ მათ საშვალებას უფრო სურვილითა და გონივრად ადევნონ თვალ—ყური ჯარის კაცებს მათგან ამავე მოთხოვნილების ასრულების დროს. სასარგებლოა ამ განყოფილების შესწავლა ჯარ. კაცების სამსახურის სხვა და სხვა მოვალების შესწავლის დროს.

1) ტანის სისუფთავე და ტანისამოსი. ტანისა და ტანსაცმელის სუფთად შენახვის საჭიროება. უსუფთაობი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საგან ავათდმყოფობა. საშუალებანი ტანის სუფთად შენახვისა. აბანოში და ისე ბანაობის დროს გაფრთხილებანი.

2) საცხოვრებელი ბინა. ბინებში აჭერის გაწმენდის საჭიროება, ამის უბრალო საშვალებანი. მავნებლობა ტალახისა და მტვრისაგან საცხოვრებელ ბინებში, ეზოებში და ფეხისადგილებში უსუფთაებისაგან. ლოგინის და კარვების სუფთად შენახვა და გამზევება, რისთვის არის ეს საჭირო.

3) სასმელ-საჭმელი. ახალი და კარგი ხორცის ნიშნები და მისი შენახვა.

მარილიანი თევზი. კომბოსტო. კარგი და სავარგისი სასმელი წყლის ნიშნები.

ცუდი წყლის გაწმენდის უბრალო საშვალებანი. მაგარი სასმელის ხმარების მავნელობა. სუფთად შენახვა საწყობებისა, სამზაროულოსი, ქვაბების, ბოჭკებისა და ჭურჭლისა.

4) ავადმყოფობა. ექიმისაგან ტანის გაშინჯვის მნიშვნელობა. ჯანმრთელობის დაცვის საშვალებანი. ლაშქრობის, ცხელ და ცივ ამინდში და ყარაულის სამსახურის ასრულების დროს. ავადმყოფობის დამალვა, განსაკუთრებით ვენერიულისა. თვალებისა და ფეხების დაცვა.

5) დაჭრილები, წითელი ჯვარი და კლავზე ნიშანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანდართული II.

სანიმუშო საზოგადო გეგმა ნაცვალთ შკოლებში მაცადინ.

I ხანა.

დღეებისა და საათების დანაწილება თვიურად.

თვეები.	ყოველ დღიურ საშუალ. საათებ. ოდენობ.	გაკეთდა.				აქედან გამოაკელით.							რჩება.		
						აბანო.		მარხულობა		საჯარო გასეირნა					
		დღეები.	შაბათობ.	საათები.		დღეები.	საათები.	დღეები.	საათები.	დღეები.	საათები.	სულ სვენ.			
1) მარტი .	6	22	4	148	—	6	—	—	—	—	6	21	4	142
2) აპრილი .	6	18	3	120	—	6	3	18	5	30	54	9	3	66
3) მაისი. .	8	18	3	156	—	—	—	—	—	—	—	18	3	15
4) ივნისი .	8	21	4	18	—	—	—	—	—	—	—	21	4	182
5) ივლისი .	8	20	4	176	—	—	—	—	—	—	—	20	4	176
6) აგვისტო.	8	11	2	96	—	—	—	—	—	—	—	12	2	96
სულ .	—	110	20	880	—	12	3	18	5	30	60	100	20	820

მე II ხანა.

დღეებისა და საათების თვიური ტაბლიცა.

ᲗᲕᲔᲑᲘ.	დღიური საბაცა-დინო საათების რიცხვი	უქმეების გამო-კლებით დარჩება			აქედან გამოაკლეთ				სულ საათები	რჩება		
					აბანო		საკარვოდ გასვლა					
		დღეები.	შაბათი	საათი.	დღეები	საათი	დღეები	საათები		დღეები	შაბათი	საათები
ენკენისთვე . .	6	20	4	136	—	6	3	18	24	16	4	112
ოკტომბერი. .	6	19	4	130	—	6	—	—	1	18	4	124
ნოემბერი. . .	6	9	2	62	—	3	—	—	3	$8^1/_2$	2	59
ᲡᲣᲚ. . .	—	48	10	327	—	15	3	18	33	$42^1/_2$	10	295

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავთარი.

მაცვდინეობის ნაცვალთ შკოლებში

1 მწყოგრი.

1918—1919 წ.

№ რიგ-რიგად.	№ გუნდებისა.	ოქტომბრის თვე.	1.	2.		3.	4.	5.	6.
			ორშაბათი.	სამშაბათი.		ოთხშაბათი.	ხუთშაბათი.	პარასკევი.	შაბათი.
		სახელი და გვარი.		საკარიბჭო სამსახური.	წერა-კითხვა.	ხელს-ბრალი წესდება.			
1		თედორე ყვავაძე.	—	3	—	—			
2		პავლე აბაშიძე.	—	—	4	2			
3									
4									